AMCHAM x MAC

GRANT

საუნივერსიტეტო სასტიპენდიო პროგრამა
UNIVERSITY SCHOLARSHIP PROGRAM

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 7 სექტემბერი, 2025

ვინ ვართ ჩვენ?

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში (AmCham) წარმოადგენს უმსხვილეს, ყველაზე გავლენიან საერთაშორისო ბიზნეს-ასოციაციას საქართველოში, რომელიც ყველაზე დიდი ხანია მოღვაწეობს ქვეყანაში. 2023 წელს ამერიკის სავაჭრო პალატის დაარსების 25 წლის იუბილეს აღნიშნავს; ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაცია ხელს უწყობს აშშ - საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას. ჩვენ ვმუშაობთ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვს, ვეხმარებით ჩვენს 270 წევრს შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობების დამყარებაში და ვლობირებთ ცვლილებებს, რომლებიც მეტ ინვესტიციებს მოიზიდავს საქართველოში. ამერიკის სავაჭრო პალატა აჟღერებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი წევრებისთვის, რათა
დაეხმაროს მათ განვითარებაში და პროფესიული ქსელის გაძლიერებისთვის საქართველოს მთავრობისა და ამერიკის საელჩოს მაღალი რანგის ოფიციალურ წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრებისა და ამერიკისა და საქართველოს სამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობების დამყარების გზით.

მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (MAC Georgia) 20015 წელს საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს საქართველოში, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს რესურსებზე ხელმისაწვდომობის გზით. ორგანიზაცია უკვე 15 წელია ახორციელებს სასტიპენდიო პროგრამას. ამ დრომდე, მათ დახმარება გაუწიეს 226 სტუდენტს, მათ შორის 72 უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და დასაქმებულია.

ამერიკის სავაჭრო პალატისა და მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის საუნივერსიტეტო სასტიპენდიო პროგრა

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში (AmCham) და მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის(MAC Georgia), სიხარულით გაცნობებთ, რომ ვაცხადებთ საუნივერსიტეტო სასტიპენდიო პროგრამის რიგით მესამე მიღებას, საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაბარების მსურველთათვის.

AmCham-ის წევრი კომპანიები დაფარავენ უნივერსიტეტის სწავლის საფასურს და უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ხარჯების ნაწილს 25-30 სტუდენტისთვის ბაკალავრიატის 4 წლის განმავლობაში.

ყველა ეს სტუდენტი უნდა წარმოადგენდეს ოჯახს, რომლებიც იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას საქართველოს მთავრობისგან.

დაფინანსების ფარგლებში მოხდება სწავლის საფასურის 100%-ის დაფარვა და ასევე ცხვოვრების ხარჯების ნაწილობრივი უზრუნველყოფა. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები სტუდენტებს შესთავაზებენ დახმარებას რიგ საკითხებში: როგორიცაა, რეკომენდაციები სხვადასხვაპრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, სტაჟირების პროგრამა ასოციაციის წევრ კომპანიებთან და სხვ.

ვიდეორგოლი საუნივერსიტეტო. სასტიპენდიო პროგრამის შესახებ



https://www.youtube.com/watch?feature=shared&v=CNvz_6ZR6RQ

რას გთავაზობთ ?

ჩვენი სტიპენდია უზრუნველყოფს:
უნივერსიტეტში სწავლის საფასური - **2250 ლარი წელიწადში** (სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტში სწავლის სტანდარტული საფასური)

საარსებო ხარჯები - **2100 ლარი წელიწადში** - გადაეცემა თითოეულ სტუდენტს ცხოვრებისა და სწავლის ხარჯების დასაფარად.

აგრეთვე, ვგეგმავთ სტიპენდიატების მხარდაჭერას სხვადასხვა მიმართულებით:

- გავუწევთ მხარდაჭერას სტუდენტებს ანაზღაურებადი სტაჟირების პოვნაში ასოციაციის წევრ კომპანიებთან, რათა ხელი შევუწყოთ მათ პროფესიულ განვითარებასა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსებას.

- ჩვენ უზრუნველვყოფთ პროფესიულ ტრენინგებს, მათ შორის ლექციებს ორგანიზაციის წევრებისგან, ასევე, შესაძლოა, ინგლისური ენისა და საოფისე საბაზისო უნარების განვითარებას და ა.შ.

- დავიქირავებთ მრჩეველს სტუდენტებისთვის, რომელიც რიგ პრაქტიკულ საკითხებში დაეხმარება მათ.

კრიტერიუმები

სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობისთვის სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- წარმოადგენს მიზნობრივი სოციალური დახმარებით მოსარგებლე ოჯახის წევრს და გააჩნდეს 70 000 ან ნაკლებისოციალური ქულა.

- ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩარიცხულია სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ რომელიმე უნივერსიტეტში (თბილისში ან რეგიონებში).



- გააჩნია ინგლისური ენის საბაზისო ცონდა და სურს მისი გაუმჯობესება.

- სურს ამერიკის სავაჭრო პალატის წევრებთან ურთიერთობა და გააჩნდეს საკუთარი პიროვნული ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, შეკრების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებსა და საქართველოს დასავლურ ორიენტაციას.

განაცხადის წარმოდგენის ვადები

დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა და ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ონლაინ განაცხადის ფორმა
- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ამსახველი გვერდის ამობეჭდილი ვერსია და აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო კოდი.
- მიზნობრივი სოციალური დახმარების ქულის ამსახველი დოკუმენტი – გასული ორი თვის ვადით და ბეჭდით დამოწმებული (განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს 70 000 ან ნაკლები სოციალური ქულის ამსახველი დოკუმენტი)
- სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე, არა უმეტეს 500 სიტყვისა, სადაც განმცხადებელმა უნდა აღწეროს თუ რატომ სურს არჩეულ საუნივერსიტეტო პროგრამაზე სწავლა და ასევე რატომ სურს შემოუერთდეთ ამერიკის სავაჭრო პალატის ქსელს.

ონლაინ განაცხადის ფორმა უნდა იქნეს შევსებული არა უგვიანეს 2025 წლის 7 სექტემბრისა.

განაცხადები მიიღება ონლაინ ფორმის ან ელ-ფოსტის საშუალებით. ონლიან ფორმა იხილეთ აქ: https://forms.gle/AazWoiBwD41J9EmF7 . ჩამოსატვირთი სარეგისტრაციო ფორმა იხილეტ აქ https://shorturl.at/vAHLo

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი გამოგზავნეთ მისამართზე – amcham@amcham.ge.

გასაუბრებები, სავარაუდოდ, გაიმართება 22 და 26 სექტემბერს თბილისში. გასაუბრების დროს ჩატარდება მცირე ტესტი, ინგლისური ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად. საბოლოო გადაწყვეტილება 1 ოქტომბრისთვის იქნება მიღებული.